

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 242
26/04/2016

242-07-3-201604261147



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №6.

დანართი: სხდომის ოქმი № 6–7 (შვიდი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №6

ქ.ლანჩხუთი

22.04.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, საორგანიზაციო განყოფილებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი მაია კუპატაძე და მედიის წარმომადგენლები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ.ლანჩხუთში, ჟორდანის ქუჩაზე, სკვერთან მდებარე 57,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.166)) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის“ მოსმენა.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის #8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

6. სხვადასხვა.

**ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე– „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ.ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, სკვერთან მდებარე 57,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.166)) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (გამგებელი) უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე ლანჩხუთის საკრებულოს მიერ, გამგებლისათვის თანხმობის მიცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ.ლანჩხუთში, ცენტრალურ სკვერთან მდებარე 57.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე დაფუძნებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.56.166)) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“-სათვის უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის გამიზნულია მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად, კერძოდ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოსაწყობად. აღნიშნული შენობა-ნაგებობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე დეპუტატების ია ჩხაიძისა და კახაბერ გუჯაბიძის განცხადებით საპირფარეშო განთავსებულია საძვალის ტერიტორიაზე, მაშინ როცა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ხელაძის ინიციატივით იქნა მოწყობილი სცენა. დეპუტატის თქმით აღნიშნულ ადგილზე არც სცენა უნდა იყოს განთავსებული თუ კი საძვალეა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ საპირფარეშოს შენობა-ნაგებობაზე 65000 ლარი დაიხარჯა და იყო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი, რომელიც ჩაბარდა წყალმომარაგების კომპანიას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ გახსნა მხოლოდ იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების მიერ იყო გაკეთებული. ადგილის შერჩევის დროს მოსახლეობასთანაც იქნა მიღწეული შეთანხმება. იმ პერიოდში უამრავი ღონისძიებები ტარდებოდა და შესაბამისად საჭიროებას წარმოადგენდა საპირფარეშოს არსებობა. მან აღნიშნა, რომ საპირფარეშოს შენობა-ნაგებობა, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ იქნა გაკეთებული და წყალმომარაგების კომპანიას ჩაბარდა არის განადგურებული და ახლანდელ ხელისუფლებას ორჯერ მეტი უჯდება მისი რეაბილიტაცია. მისი თქმით უნდა იქნას გამოძიებული ვის ბრალეულობას წარმოადგენს აღნიშნული შენობა-ნაგებობის განადგურება.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ საჭიროება გაჩნდა იმისა, რომ ქალაქს გააჩნდეს საზოგადოებრივი საპირფარეშო, მაშინ როცა სამი წლის წინათაც იგივე საჭიროება არსებობდა, მაგრამ იგივე ხელისუფლების მიერ მიუხედავობის გამო განადგურებული იქნა არსებული უკვე გასახსნელად გამზადებული საპირფარეშო. მისი განცხადებით ადგილობრივი ხელისუფლების ჯინს შეეწირა 65000 ლარი, რომელზეც დღეს თუ არა მომავალში მაინც დადგება ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ თუ კი აღნიშნულ ტერიტორიაზე სამკვლეა მოეწყოს ის ადგილი სამკვლეების შესაბამისად.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შენობის უკანა მხარეს ასევე უფუნქციოა 14000 ლარიანი საპირფარეშო. ქალაქში არის რთული სიტუაცია საპირფარეშოდ იყენებენ შენობა-ნაგებობებს.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ქალაქს უცხოელებიც სტუმრობენ და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებრივი საპირფარეშოს არსებობა.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგებლის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ღრმაღელეში (წყალ;წმინდა) მდებარე 600.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის 9 კვ.მ ფართი (ს/კ 27.16.50.271); ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯურუყვეთში მდებარე 2807 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის პირველი და მეორე სართულის 413.5 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის 9 კვ.მ ფართი (ს/კ 27.11.45.083); ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. მამათში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართის 923.8 კვ.მ-დან 189 კვ.მ ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 215.13 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.14.48.020); ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართის 756.1 კვ.მ-დან 208 კვ.მ ფართი მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად (ს/კ 27.12.41.004) ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის“ (ს/ნ 233732565) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, ვინაიდან ააიპ-ის აღნიშნული ქონება ესაჭიროება მისთვის განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის N1381 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გაფორმებული მრავალწლიანი პროექტების ხელშეკრულების თანახმად 2015 წელს შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ს დაკავებული იქნა საგარანტიო თანხა 93539 ლარი და 50 თეთრი სამუშაოების დასრულებამდე, კერძოდ: აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 54053 ლარი, აცანის ადმინისტრაციული ერთეულში შენობის უკანა მხარეს დამეწყრილი მონაკვეთისა და ამ მონაკვეთზე არსებული საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 39480,50 ლარი. ვინაიდან სამუშაოები სრულდება მიმდინარე წელს დაკავებული თანხა უნდა მიიმართოს 2016 წლის ბიუჯეტში ხარჯვით ნაწილში 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის ხარჯზე.

საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდის წერილის თანახმად ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო და ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსებები განხორციელდება არა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ არამედ ისევ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება. შპს „ლანჩხუთს“ შეუმცირდეს დაფინანსება 100000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის გურიას დაფინანსება ძველი დავალიანებების დასაფარავად 100000 ლარი, ხოლო დარჩენილი 100 000 ლარი მიიმართოს სტადიონის მოვლა-პატრონობისთვის.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ იგეგმებოდა გურია-2000-ის ლიკვიდაცია მუნიციპალიტეტის მიერ, მაგრამ მოხდა მხოლოდ სახელი გადარქმევა და ჩამოყალიბდა შპს „ლანჩხუთის“ სახელით ახალი ორგანიზაცია, რომელსაც 100 000 ლარს ურიცხავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სტადიონის მოვლა-პატრონობისთვის.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის მიერ არ იქნა მხარდაჭერილი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის“ შესახებ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ 2015 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 100,5 %, ხოლო საგადასახადო ნაწილი შესრულდა 102,8%-ით. მან ასევე აღნიშნა, რომ საშემოსავლო ნაწილის დიდ შემოსავლებზე ხედვა არ აქვს მუნიციპალიტეტს, რადგან საშემოსავლო სამსახურის მიერ იქნა წადებული. მისივე განმარტებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც შესრულდა. მთლიანად ეკონომიების ხარჯზე დარჩა 298 945 ლარი.

დეპუტატი კახაბერ ასკურავა დაინტერესდა თანამშრომლობდა თუ არა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი მოწვეულ აუდიტის წარმომადგენლებთან, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ იგი იმ პერიოდში არ იმყოფებოდა სამსახურში და შესაბამისად ვერ ითანამშრომლა მათთან.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იყო არასწორად დაგეგმილი, რადგან არ შესრულდა ხარჯვითი ნაწილი. მას უსამართლოდ მიაჩნია სოციალურ სამსახურს დარჩეს თანხა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოციალური სამსახურის უფროსს თანხა უნდა გადაეტანა მუხლიდან მუხლში და გაეცა ერთჯერადი დახმარება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ასე ელოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ სწორედ ამ ნარჩენი თანხით მოხდა 2016 წლის 7 იანვარს თანამშრომლების წახალისება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ თანხის დარჩენის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ იყო საშიშროება ხელფასების ვერ გაცემის თანამშრომლებზე.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური ანგარიშის აუდიტორული შემოწმების აქტის საჯარო განხილვაზე მუნიციპალიტეტის გამგებლის გამოსვლა იყო სამარცხვინო, გამგებელი კითხულობდა მის მიერ მოწვეულ აუდიტზე თუ ვინ გაუფორმა ხელშეკრულება და ვინ გადაურიცხა თანხა, მაშინ როცა რიგი ღონისძიებები მის მიერვეა გატარებული. მოწვეული აუდიტის მიერ დადებული დასკვნა არის რეალური. ფინანსური დარღვევები, რომელზეც აუდიტის დასკვნაშია საუბარი აღარ საჭიროებს დამატებით შესწავლას. დეპუტატის თქმით საკრებულოს 31-ივე დეპუტატის სირცხვილი იქნება დადებითად, რომ შეფასდეს აღმასრულებელი ორგანოს 2015 წლის მუშაობა. მან ასევე აღნიშნა, რომ გამგეობაში შექმნილია აუდიტის სამსახური, რომელიც აუდიტორულ შემოწმებებს ატარებს და დებს დასკვნებს, რომელიც რეაგირების გარეშე დევს თაროებზე. დეპუტატის თქმით გამგებლის გამოსვლა საჯარო განხილვაზე იყო სამარცხვინო, სადაც ნათლად გამოჩნდა, რომ გამგებელს უკონტროლოდ აქვს მიტოვებული მუნიციპალიტეტი. დეპუტატმა ყველა პოლიტიკურ პარტიას მოუწოდა კონსულტაციების დაწყებისკენ, რათა კარგად იქნას შესწავლილი აუდიტის დასკვნა და დაისვას გამგებლის უნდობლობის გამოცხადების საკითხი.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ აუდიტის დასკვნაში მოყვანილი ფაქტები ერთ დღეში არ გაჩენილა, ყოველივე არასწორი მართვის შედეგია, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი წლების მანძილზე ახორციელებს, გამგებელი აცხადებდა, რომ ის არ გადაიხდიდა არც ერთ თეთრს უკანონოდ განთავისუფლებული მწვრთნელებისთვის, მაგრამ გადაიხდა. ასევე ოთხი სასამართლო პროცესი წააგო წინა მოწვევის საკრებულოს წევრებთან, რომლის გადახდაც დაეკისრება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. დეპუტატი კახაბერ ასკურავას განცხადებით გამგებლის არასწორი მენეჯმენტის გამო ბიუჯეტმა იზარალა ათი ათასობით ლარი. გამგებელი არ რეაგირებს შიდა აუდიტის დასკვნებზე, სადაც რიგ შემთხვევებში კრიმინალი იკვეთება. სწორედ ასეთი გულგრილობის შედეგია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების აქტი, რომელიც საგანგაშოა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მის მიერვე დაქირავებულმა აუდიტმა გამგებელი იმ სარკეში ჩაახედა, რომელშიც ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ ხშირად ახედებს, მაგრამ უშედეგოდ. დეპუტატის განცხადებით უნდა მოხდეს ყველა პოლიტიკურ პარტიასთან ერთად აუდიტის დასკვნის განხილვა და სათანადო პროცედურების შემდეგ გამგებლის უნდობლობის გამოცხადება. ასევე უნდა მოხდეს მოსახლეობისთვის აღნიშნული აუდიტის დასკვნის მიტანა და გაცნობა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, როცა გამგებელი აუდიტის დასკვნაზე იმახის შიდა აუდიტის დასკვნებიდან გადაიწერაო, რატომ არ ხდებოდა რეაგირება დასკვნებზე თუ კი ამის შესახებ ადრეც ცნობილი იყო გამგებლისთვის.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის №8 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ქ.ლანჩხუთში, კვირკველიას ქ.№16-ში მრავალსართულიან სახლში მცხოვრებთა და კლინიკა „ჯანმრთელობის“ მფლობელების (თანამშრომლების) განცხადების საფუძველზე საპრივატიზაციო ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებული იქნა ქ.ლანჩხუთში, კვირკველიას ქ. 16-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 103 და 202 კვ.მ მიწის ნაკვეთები, რათა აღნიშნული ტერიტორია შემდგომში გამოყენებული იქნას სკვერის მოსაწყობად.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ კითხვით მიმართა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსს გიორგი ფაცურიას იყო თუ არა გათვალისწინებული 2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში აღნიშნული მიწის ნაკვეთის გაყიდვის შემთხვევაში თანხა, რაზეც გიორგი ფაცურიამ აღნიშნა, რომ 15000 ლარი უნდა შემოსულიყო გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა მოსახლეობის ინტერესები.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.


სხვადასხვა

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა არის თუ არა კანონდარდვევა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო ბაზის შენობა-ნაგებობის ნარჩენებზე და ჯართზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურისა მიერ მიერ გამოცხადებული აუქციონი და თანხის ასახვა კლუბის შემოსავლით ნაწილში, როცა ქონება მუნიციპალიტეტის საკუთრებას განეკუთვნება, რაზედაც გიორგი ფაცურიამ აღნიშნა, რომ ბაზა მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ის დაინტერესებულია დეპუტატი თემურ ჩხაიძის ანგარიშის მოსმენით და საკრებულოს თავმჯდომარეს თხოვნით მიმართა უზრუნველყოს თემურ ჩხაიძის ანგარიშის მოსმენისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის“ წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 აპრილი 2016 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე		
2	გიორგი გოგუაძე		
3	კახაბერ ასკურავა	12:00	